ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

განკარგულება:**g-15. 152311813**

თარიღი:**28/04/2023**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიისა (2023-2026 წწ) და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტოსა“ და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას შორის, 2021 წლის 13 აპრილს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს:

ა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგია (2023-2026 წწ) (დანართი 1);

ბ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის (2023-2026 წწ) 2023 წლის სამოქმედო გეგმა (დანართი 2);

გ) „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტარტეგიის (2023-2026 წწ) შემუშავების პროცესის შესახებ“ ანგარიში (დანართი 3).

2. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებსა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს უზრუნველყონ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 - 2026 წლების ახალგაზრდობის სტრატეგიისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის (2023-2026 წწ) 2023 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელება.

3. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურს უზრუნველყოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 - 2026 წლების ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის (2023-2026 წწ) 2023 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაცია.

4. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებსა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სორტისა დ ახალგაზრდობის სამსახურის მოთხოვნისთანავე, დადგენილი ფორმით (ელექტრონულად ან დოკუმენტალურად) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 – 2026 წლებისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის (2023-2026 წწ) 2023 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების, მისი შესრულების მონიტორინგისა და კონტროლის მიზნით, საჭირო შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება და შესაბამისი სპეციალისტების მონაწილეობის უზრუნველყოფა განხორციელების პროცესში.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი